პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 243 (11854)

სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომ 1960 წლის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ქალაქ მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიმართოს ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.

თათბირი მოისმენს და განიხილავს მოხსენებებსა და ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 აპრილის დადგენილება „ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობისა და ქაღალდის საკეთებელი მანქანათმშენებლობის საწარმოთა ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და ნოვატორი მუშები, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტების, იმ სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც აშენებენ ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის საწარმოებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო-საგეგმო კომისიებისა და სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.



მწყემსთა ზეიმი

მეცხვარეები ამგოგენ: უახლოეს დროში მკვეთრად გავადიდებთ ცხვრის სულადობას, კიდევ უფრო გავზრდით ხორცის, მატყლის წარმოებას.

მაქრისწერი შემოდგომის მზიანი დღეა. ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ტრიალ ველზე, რომელიც მალგობეის მაღლობებს ქვემოთ, სოფელ აჩალუკების მახლობლად არის გაშლილი, შაბათს, 15 ოქტომბერს, დილადანვე დაიწყო ავტომანქანების ხმაური და მეცხვარეების მხიარული გადაძახილი. თითქოს მინდვრებიც გრძნობდნენ ადამიანთა სიხარულს და თავიანთი მკერდი ყვითელ ხალიჩად გადაეშალათ, შორს სამხრეთით ისფერ ნისლში ჩანდა კავკასიონის ჯალარა მწვერვალები. სწორედ იქიდან დარიალის ვიწროებით გადმომყავთ ქართველ მწყემსებს თავიანთი ცხვარი და აქ, აჩალუკებში, მოწყობილი აქვთ გადმოსატვირთი პუნქტი, აქედან ფარები სპეციალური ტრასით მიემართებიან კასპიისპირეთის უსასრულო ველების სიღრმეში.

მთელი შეთვალება საზეიმოდ არის მორთული, ფრიალებს ალისფერი დროშები, სხვა კარვებს შორის გამოირჩევა მოგრძო ფორმის პავილიონი, რომლის შესასვლელს მსხვილი ასოებით აწერია: „მეცხვარეობის მიღწევათა გამოფენა“. აქვეა საგულისხმო სიტყვები: „ყოველდღიური მზრუნველობა მწყემსებს, ბრიგადირებს, სპეციალისტებს, ყველას, ვინც ავადრში, ქარში, თოვლსა და წვიმაში, ზამთარში და ზაფხულში თავდადებულად უვლის ცხვარს“.

ავტომანქანების ნაკადი არ წყდება. მოდიან დუშელები, თიანეთელები, მოდიან ოსეთიდან, ყაზბეგიდან ოქროს კანმოს შესანიშნავი ოსტატები, სახელოვანი მეცხვარეების ძვირფასი სტუმრები, იქვე მინდორში იმართება სახელდახელო კონცერტი, მღერის და ცეკვავს სამი ანსამბლი — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების თვითმოქმედი ანსამბლები, ზურნის ხმასა და დოლის ბაგაბუგში ერთმანეთს შებმიან ქართული ჭიდაობის მოყვარულნი.

ქართველი მწყემსების ზეიმს ესწრებიან სტუმრები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟავანაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. ჯაფარიძე, რომლებიც ცხვრის გადასაყვან ტრასაზე წინადღეს მოვიდნენ.

ქართველ მწყემსებთან სტუმრად მოვიდნენ სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დანიალოვი და დაღესტნის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. უმახანოვი.

იჭრება ლენტი, გამოფენის დარბაზი ხალხით ივსება, დამთვალიერებლებს ახსნა-განმარტებას აძლევენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი ვ. კობახიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გ. როსშუპკინი და თვითონ მოწინავე მეცხვარეები შ. ნაზღაიძე, მ. შერმადინი, შ. მელიქიშვილი და სხვები, ვისი ხელითაც იქმნება სახალხო დოვლათი.

ჯართლაც რამდენი რამის მთქმელია პავილიონში გამოფენილი სტენდები, დიაგრამები, ესკპონატები. ისინი ნათლად ლაპარაკობენ იმ დიდ წინსვლაზე, რაც უკანასკნელ ხანს სოფლის მეურნეობის ამ დარგშია მოპოვებული. მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხვრის სულადობა. თუ 1955 წელს მღლებული იყო 35.250 ცენტნერი მატყლი, შარშან ეს ციფრი 42.090 ცენტნერამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ცხვრის საერთო სულადობაში 88 პროცენტი ნაზმატყლიანი, ნახევრადნაზმატყლიანი და ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვარია.

ერთმანეთზე უკეთესია დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობათა ექსპონატები.

მთელ საქართველოში გაუთქვამს სახელი დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეთა ბრიგადირს იოსებ ლაგაზაშვილს. შარშან მისი ბრიგადის წევრებმა თვითეულ ცხვარზე საშუალოდ 6,7 კილოგრამი მაღალხარისხოვანი მატყლი და ყოველ 100 დედაცხვარზე 117,8 ბატკანი მიიღეს.

სახელი და დიდება მათ!

მეცხვარეთა პატრიარქს ეძახიან მლეთელ მწყემსს შიო ნაზღაიძეს, რომელსაც თავისი ცხოვრების 47 წელიწადი ცხვარში გაუტარებია. მისმა ბრიგადამ კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდში გაზარდა 30 ათასზე მეტი ცხვარი, მიიღო 90 ტონაზე მეტი მატყლი. შიო ნაზღაიძის შრომისმოყვარე ოჯახის წევრებმა შარშან ორიათასსამასზე მეტი შრომადღე გამოიმუშავეს. და მარტო ფულად 37 ათასზე მეტი მანეთი მიიღეს.

ბარაქალა მათ მარჯვენას!

მნახველები დიდხანს დგანან ახალგაზრდა თიანეთელი მწყემსის ვალიკო ფოლადაშვილის პორტრეტთან. წარწერა გვაცნობს, რომ იგი ცხვარში იმყოფება 14 წლის ასაკიდან, ბრიგადაში ჰყავს 950 ცხვარი, თვითეულ მათგანზე შარშან 3,6 კილოგრამი მატყლი გაპარსეს, ყოველ 100 დედაცხვარზე 96 ბატკანი შეინარჩუნეს. ვალიკო ოჭროს პროფესიის კაცია, იგი თავისუფლად ფლობს მცნობარე მწყემსის საიდუმლოებას.

რამდენი ვალიკოსთანა ახალგაზრდა უდგას ახლა მხარში მეცხვარეობის ხაქმის ვეტერანებს! ჭეშმარიტად რომ ისინი მამაპაპათა სახელოვან ცვლასა და მეცხოველეთა ოჭროს ფონეს წარმოადგენენ, რომელთა შრომა მოსაბაძია მთელი ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

გამოფენაზე ნათლად ნაჩვენებია, როგორ ზღაპრულად შეიცვალა ქართველი მწყემსის შრომისა და ცხოვრების პირობები შორეულ ნოდეთში. 314 ათას ჰექტარ საძოვრებზე, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები სარგებლობენ, გაჭრილია 193 არტეზიული ჭა, აშენებულია ათობით საცხოვრებელი სახლი, საავადმყოფოები, კულტურული დაწესებულებები. არტეზიული ჭების მახლობლად კოლმეურნეებს მოპყავთ სიმინდი, ბოსტნეული. ხაკვები გოგრა, თალგამი, ჭარხალი, მზესუმზირა. ბრინჯი, ისე რომ ბევრი ფერმის მწყემსი ზამთარში უზრუნველყოფილია საკუთარი წარმოების პროდუქტებით.

ენით აუწერელი გაჭირვებას განიცდიდნენ მწყემსები ცხვრის გადარეკვისას დარიალის პირქუშ კლდეებსა და ნოღაეთის უკიცრილ მინდვრებზე, ასე გრძელდებოდა ათეული და ასეული წლების მანძილზე, მაგრამ მოხდა ის, რისი წარმოდგენა ძველად ოცნებითაც კი არ შეიძლებოდა, ცხვრების ავტომანქანებით გადაყვანამ, რაც პირველად ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგა, მძიმე ტვირთისა და ფვალებისაგან იხსნა მწყემსი.

...მნახველები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, შთაბეჭდილებები კი ბევრია.

ბუადღე დადგა. ხახელდახელო ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ვ. პ. მეჟავანაძე, გ. დ. ჯაფახიშვილი, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დანიალოვი, დაღესტნის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. უმახანოვი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კოზაევი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, პარტიის რაიკომის მდივნები, წარჩინებული მეცხვარეები, მეცხოველეობის სპეციალისტები და სხვები.

ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებით მოსარგებლე რაიონების მეცხვარეთა შეკრებას ხსნის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ჭანუყვაძე. იგი ლაპარაკობს ქართველი მეცხვარეების შრომითს მამაცობაზე. ნოღაეთის საზამთრო საძოვრებზე წელს დამზადებულია 45.500 ტონა თივა, ეს თითქმის ორი წლის მარაგია, მიღწეული ზღვარი არ არის, ქართველი მამაცი მეცხვარეები მომავალშიც ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ მათ მიმართ პარტიისა და მთავრობის მშობლიურ ზრუნვას.

ტრიბუნაზეა მოწინავე მეცხვარე შიო ნაზღაიძე, მზისა და ქარისაგან სახედამწვარი ჭარმაგი ვაუკაცი:

— 47 წელი ცხვარში გავატარე, — ამბობს იგი, — წინათ ავის მეტი რა მენახავს, ახლა კი ყველა ხედავთ ჩვენს ბედნიერებას, არასოდეს მწყემსის შრომა ისე დაფასებული არ ყოფილა, როგორც დღეს. ჩვენ დიდი მადლობა გვეთქმის, ვიმუშაოთ უკეთესად, ერმანეთს მხარში ამოვუდგეთ, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პირი არ შევიცვინოთ...

სიტყვას ამბობს ლენინგორის რაიონის უკანამხრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრო ჩიტაშვილი. იგი ლაპარაკობს მშობლიური კოლმეურნეობის წარმატებებზე, როგორ ნერგავენ პრაქტიკაში ცნობილი სოფნალელი მეცხვარის გ. ჩალაბაშვილის გამოცდილებას ორ წელიწადში სამი დოლის ჩატარების საქმეში.

— ჩვენი მეცხვარეები გარეშოსლნი არიან პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობით, ამას ისინი გაათკეცებული ენერგიით უპასუხებენ, — თქვა მან.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის კოლმეურნეობის მწყემსი ა. საბაური.

— მადლობა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის. გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს, მთელ მსოფლიოში ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საიმედო ბურჯს! — ორატორის ეს სიტყვები მჭუხარე ტაშმა დაფარა.

ქართველი მწყემსებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ირაკლი ტუნტურიშვილმა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში მწყემსებმა ძვირფასი სტუმრები ვ. მეჟავანაძე, გ. ჯაფახიშვილი, ა. დანიალოვი და მ. უმახანოვი ცხვრის ტყავზე ამაღლებენ.

ბოლოს ამბავს ლენინგორის რაიონის სოფელ ხიონის კოლმეურნეობის მწყემსი ა. საბაური.

— მადლობა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის. გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს, მთელ მსოფლიოში ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საიმედო ბურჯს! — ორატორის ეს სიტყვები მჭუხარე ტაშმა დაფარა.

ქართველი მწყემსებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ირაკლი ტუნტურიშვილმა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში მწყემსებმა ძვირფასი სტუმრები ვ. მეჟავანაძე, გ. ჯაფახიშვილი, ა. დანიალოვი და მ. უმახანოვი ცხვრის ტყავზე ამაღლებენ.

ბოლოს ამბავს ლენინგორის რაიონის უკანამხრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრო ჩიტაშვილი. იგი ლაპარაკობს მშობლიური კოლმეურნეობის წარმატებებზე, როგორ ნერგავენ პრაქტიკაში ცნობილი სოფნალელი მეცხვარის გ. ჩალაბაშვილის გამოცდილებას ორ წელიწადში სამი დოლის ჩატარების საქმეში.

— ჩვენი მეცხვარეები გარეშოსლნი არიან პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობით, ამას ისინი გაათკეცებული ენერგიით უპასუხებენ, — თქვა მან.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა ყაზბეგ

რეკორდი მიწის წიაღში

მეშახტეთა ქალაქის „მარგალიტი“ — ასე ეძახიან ტყიბულში კომკავშირულ შახტს, რომლის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს. ეს მიწისქვეშა ფაბრიკა-გიგანტი შვიდწლედის პირმშოა. მას ძირითადად კომკავშირელები და ახალგაზრდები აგებენ. შახტის ორი ოთხ-ოთხკილომეტრიანი შტოლნები პირველნი გადახსნიან შაორის ქვანახშირის საბადოს. მალე რესპუბლიკის ინდუსტრია დამატებით მიიღებს მაღალხარისხოვან ქვანახშირს.

მიწისქვეშა ღრმა ჰორიზონტებზე ახლა თავდადებული შრომის დღეებია. შახტმშენებლები, მთელი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად. ამიტომ არის, რომ ისინი დაჟინებით ისწრაფვიან მთის გულისაკენ. საზიდი და სავენტილაციო წოლხვრელები უკვე ორ-ორ კილომეტრზე მეტი მანძილით შეიჭრნენ ფუჭ ქანებში.

კომკავშირული შახტის „ოქროს ფონდს“ გამყვანები შეადგენენ. გამყვანის პროფესია მძიმე და რთულია, მაგრამ სასახელოა. იყო გამყვანი — ნიშნავს გქონდეს უდიდესი ენერგია, ცოდნა, მოხერხება, უნარი და სიმტკიცე. შახტმშენებლები გამყვანებს ორ ჯგუფად მყოფენ: ჩვეულებრივ რიგით გამყვანებად და ჩქაროსნული გათხრის ოსტატებად. ეს უკანასკნელნი გააფთრებით უტევენ ქვესკნელს, მიიწევენ წინ და მხოლოდ წინ.

ერთ-ერთი ასეთი გამყვანია მიხეილ კანკაძე. იგი გოლიათი არ არის, ტანმორჩილი კაცია, მაგრამ მიწისქვეშეთის ნამდვილი ჩქარმავალი, ნამდვილი მარათონელია. ტყიბულში ხშირად იტყვიან: კუცი მიწის ზეგით ამყარებს რეკორდს, კანკაძე კი მიწის ქვეშო. ეს შრომისმოყვარე შახტმშენებელი რამდენიმე წელია გამყვანთა კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო ტყიბულის თითქმის ყველა შახტის ღრმა ჰორიზონტების მშენებლობაში. ამჟამად მ. კანკაძის ბრიგადას მინდობილი აქვს შახტმშენებლობაში ყველაზე რთული და პასუხსაგები სამუშაოს შესრულება — ხაზიდან წოლხვრელის გაყვანა.

ამას წინათ მ. კანკაძის ბრიგადამ ჩქაროსნული გაყვანის ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

— ჩვენმა ბრიგადამ 26 სამუშაო დღეში გაიყვანა 151 გრძივი მეტრი წოლხვრელი — თქვა მ. კანკაძემ. — ასეთი ჩქარი წინსვლა დღემდე რესპუბლიკის სამთო მრეწველობაში არავის ჰქონია. სექტემბრის გეგმის ზეგით 86 გრძივი მეტრი — ასეთია ჩვენი შრომის შედეგი. მაგრამ ჩვენ ამით არ ვკმაყოფილდებით. მიღწეული — ეს განვლილი, უკან მოტოვებული ეტაპია. ოქტომბერში ჩვენ ვიბრძოლებთ 200 გრძივი მეტრი გამონამუშევრის გაყვანისათვის.

შვიდწლედის ადამიანები

მ. კანკაძის ბრიგადაში ოცი შახტმშენებელია. ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები, თავიანთი საქმის კარგი მცოდნეები არიან. ბრიგადის ღირსეული წევრია ლევან კანკაძე, იგი ბრიგადირის ძმაა. ლ. კანკაძე შესანიშნავად ფლობს მომჯანვე პროფესიებს. მას თავისუფლად შეუძლია სანგრევის დამოუკიდებლად დაბურღვა, აფეთქება და გადამგრება. როცა საჭიროა, იგი ფუჭი ქანის მტვირთავ რთულ მანქანასაც კი მართავს. ლ. კანკაძე ბრიგადის „უნივერსალური“ წევრია. და განა მარტო ლ. კანკაძე? ასევე მრავალ მომჯანვე პროფესიას ფლობენ ნ. ჯიბუშვილი, ა. კონდრაშევი; რ. ხელაძე, უ. მელქაძე, ვ. კუტალაძე და მრავალი სხვები.

მომდინარე წელს მ. კანკაძის კომპლექსური ბრიგადის თვალსაჩინო შრომითმა შრომატეხმა ბევრი აალაბარაკა. ერთნი ამბობენ, ბრიგადას ჩქაროსნული გაყვანის რაღაც „საიდუმლოება“ აქვსო. მეორენი ამტკიცებენ — კანკაძემ ყველა ძლიერ, კუნთმაგარ და გამბედავ ბიჭებს მოუყარა თავიო. ერთნიც სცდებიან და მეორენიც. ბრიგადა გამარჯვებას აღწევს უწინარეს ყოვლისა სამთო ტექნიკის უნარიანი გამოყენებით, შრომის სწორი ორგანიზაციით, მუშაობის პროგრესული მეთოდების დანერგვით.

პირველი რამაც უზრუნველყო წარმატება, ეს არის მუშაობის სადღეღამოსო ციკლური გრაფიკის დანერგვა. დღეღამეში ოთხ ციკლს ასწრებენ, წინათ კი ორსაც ძლივს ახორციელებდნენ. წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ფუჭი ქანის ტვირთვის პროცესის დაჩქარებამ. ამაში დიდი დახმარება მიუძღვის რაციონალიზატორ ტ. შარაბაიას. მან შექმნა და ამას წინათ სანგრევზე დაამონტაჟა ფუჭი ქანის გადამტვირთვი მოძრავი მექანიზმი. ეს მექანიზმი 2,5-3 საათით აჩქარებს საშახტო ვაგონეტების ტვირთვის პროცესს. ბრიგადირის ინიციატივით სანგრევში დანერგეს სამი პერფორატორით ერთდროულად მუშაობა, რაც შპურების გაჭრის დიდ ეფექტს იძლევა. ბრიგადაში წარმატებით იყენებენ ე. წ. სველ ბურღვას, რამაც საგრძნობლად შეამცირა მტვრის გამოყოფა.

მუშაობის ასეთი მეთოდების გამოყენებით მოიპოვა მ. კანკაძის ბრიგადამ სამთო გამონამუშევრების გაყვანის სარეკორდო მაჩვენებელი.

ვ. ციცეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ჩქაროსნული გაყვანის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი მ. კანკაძე (მარცხნიდან მეორე) ესაუბრება გამყვანთა ბრიგადების ხელმძღვანელებს (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. კობრეიძეს, ლ. ლაღიძესა და გ. ჩიტაძეს.

ფოტო დ. საბელაშვილისა.

მოსკოვი ისმენს ქართულ ოპერას

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. (საქ-დისის სპეც. კორ.). კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი გუშინ ხალხით იყო გაჭედილი. დამსწრეთა შორის იყვნენ დედაქალაქის მუსიკალური და მხატვრული საზოგადოებრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები. სცენაზე მიმდინარეობდა დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის“ (ლიბრეტო ი. ნონეშვილისა) საკონცერტო შესრულება.

ამ პატრიოტულ ოპერას ბევრი მოსკოველი გაეცნო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში. მათ გულთბილად მიიღეს ნიკიერი ნაწარმოები, რომელიც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიდგა. „ჩრდილოეთის პატარძლის“ საკონცერტო შესრულებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოქმედ პირთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის რადიოსა და ტელევიზიის, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტები. ნინოს როლი შესრულა ტ. კალისტრატოვამ, გრიბოედოვისა — ვ. სელივანოვმა, ალექსანდრე ჰაკჰაკაძისა — ა. ბლაგოვმა, ივანე ერისთავისა — ზ. ანჯაფარიძემ, ტატოსი — ვ. ელისეევმა, ნინოს მეგობრისა — ლ. ისაევამ და სხვ.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა და საბჭოთა კავშირის რადიოსა და ტელევიზიის დიდმა გუნდმა, დირიჟორი — რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ა. კოვალოვი, გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, პროფესორი კ. პტიცა. რეჟისორი — ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტი ო. მორალიოვი.

რუსულ ტექსტს, რომელიც ი. პეტროვამ თარგმნა, კითხულობდა მსაზიობი ა. სმირნოვი.

კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა და ტრანსლირებული იყო რადიოთი.

კუსტარულ ფაბრიკებმა დრო მოჭამეს

ჩვენს რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ 15 წლის მანძილზე ამენდა ავეჯის დამამზადებელი მთელი რიგი საწარმოები. მაგალითად, თბილისის საავეჯო კომბინატი, ახალდაბისა და ქუთაისის საავეჯო ფაბრიკები, თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ხე-ტყის კომბინატი და სხვ. რეკონსტრურებულია ბათუმის ფანერის ქარხანა და მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა. აღნიშნულ საწარმოებს კეთილმოწყობილი საწარმოო შენობები აქვთ, აღჭურვილი ორიან ახალი უნივერსალური მოწყობილობით, მერქნის საშრობი მეურნეობებითა და დამხმარე შენობებით.

ზოგიერთ საწარმოში უკვე დანერგილია მთელი რიგი მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები — ათვისებულია საღურგლო ფილების დამზადება მრავალსართულიან წნეხზე, ავეჯის მოპირკეთების ძველი წესი — შელაკის პალიტურით მოპირკეთება მთელ რიგ საწარმოებში შეცვლილია ახალი პროგრესული ტექნოლოგიით — ნიტროლაქებით. ათვისებულია საღურგლო ფარების მშრალად დაფანერების ტექნოლოგია. თბილისის ავეჯის კომბინატის მთავარი ინჟინრის გ. ხვიდელიანის წინადადებით დანერგილია საავეჯო ფარების მოპირკეთება ნიტროლაქების დასხმის მეთოდით, ნაცვლად პულვერიზაციისა.

მშენებლობის პროცესშია ავეჯის მრეწველობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საამქროები, რომლებიც დღემდე გამოუყენებელი მერქნის ნარჩენებისაგან დაამზადებენ მერქნის ბურბუშელის საავეჯო ფარებს.

რესპუბლიკის საავეჯო საწარმოების გამშრალი ხე-ტყით უზრუნველსაყოფად და ავეჯის ხარისხის გასაუმჯობესებლად ფართალისწინებულია 1960-1961 წლებში რეკონსტრუქცია გაუკეთდეს 33 საშრობ კამერას მათი წარმადობის ერთიორად გაზრდის მიზნით; გათვალისწინებულია აგრეთვე 1960-1962 წლებში აშენდეს 21 ახალი ტიპის ხე-ტყის საშრობი — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით და 36 საშრობი საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხაზით.

მაგრამ მიღწევებთან ერთად არის ბევრი ნაკლი. ჩვენი რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის მოწინავე საავეჯო საწარმოებს.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ იქ, სადაც უმოცალოდ საწარმოებთან ჩამოყალიბდა საკონსტრუქტორო ბიუროები და შეიქმნა სათანადო ბაზები, გაკეთდებით უფრო მაღალი ტემპებით დაიწყო ამ საწარმოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ეს განყოფილებები და სახელოსნოები აგეგმარებენ და ამზადებენ არატიპურ მოწყობილობას, კონვეიერებს, სხვადასხვა დანიშნულების სამაჯგუნს, შაბლონებს, საკონტროლო და მჭრელ იარაღებს და ამავე დროს ანარმოებენ არსებული დაბალი წარმადობის დანადგარების მოდერნიზაციას, ე. ი. ამზადებენ ისეთ მექანიზმებს, რომლებიც არატიპურია და ცენტრალიზებული წესით მათი განაწილება არ ხდება. ამას გარდა საწარმოებში ნერგავენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მიერ დამუშავებულ აქტუალურ საკითხებს, გამომგრნებლებისა და რაციონალიზატორების წინადადებებს. აგეგმარებენ ახალი ტიპის ავეჯის კონსტრუქციებს უნიფიცირებული დეტალებით, კვანძებით და სხვ.

მოწინავე საწარმოების ეს გამოცდილება საჭიროა დანერგოს ჩვენს მრეწველობაშიც, რადგან უამისოდ შეუძლებელია მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა, შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

საპროექტო-ტექნოლოგიური ბიუროებისა და სახელოსნოების უქონლობით უნდა აიხსნას ისიც, რომ თბილისის საავეჯო კომბინატი, ქუთაისის, მარელისისა და ახალდაბის საავეჯო ფაბრიკები წლების მანძილზე ვერ ახერხებენ დაამზადონ და გამოიყენონ მრავალ გზის შემოწმებული მაღალი წარმადობის არასტანდარტული მოწყობილობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სტყეო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე დაამუშავა ავეჯის მრეწველობის აქტუალური საკითხები, რომელთა დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ბაზების უქონლობის გამო მათი პრაქტიკული განხორციელება ჭიანურდება. მაგალითად: დღემდე არ არის დამზადებული და დანერგული ახალი კონსტრუქციის დიდი წარმადობის მაღალტემპერატურიანი ერთშტაბელიანი მერქნის საშრობი კამერა, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა დაემზადებინა ქარხანა „ელექტროშედუღებას“.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ავეჯის წარმოებაზე მუშაობს უწყების 100-ზე მეტი საწარმო. ამ საწარმოთა შორის ყველაზე მსხვილია თბილისის ავეჯის კომბინატი. ეს საწარმო წლიურად 30 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებს. ამავე დროს რესპუბლიკაში არის ისეთი წვრილი საამქროები და საწარმოები, რომელთა წლიური პროდუქციის მოცულობა 40 ათასი მანეთიდან 11 მილიონ მანეთამდე მერყეობს.

წარმოების ასეთი დაქუცმაცება და გაბნეულობა არ იძლევა საშუალებას მოვახდინოთ მათი სპეციალიზაცია, ყველგან დაენერგოთ ავეჯის წარმოების ახალი თანამედროვე მეთოდი. ბევრი მათგანი არარენტაბელურია და ძლიერ მდარე ხარისხის პროდუქციას უშვებს.

იმის გამო, რომ დღემდე საავეჯო მრეწველობაში მოწესრიგებული არ არის შრომა, თითქმის ყველა საავეჯო საწარმო ერთ ცვლაზე მუშაობს. ეს გამოწვეულია ე. წ. მუშაობის „ბრიგადული“ მეთოდით, შრომის ორგანიზაციის ეს მეთოდი იწვევს საწარმოო ფართობების არარაციონალურად გამოყენებას. ავეჯის მანძილზე საწარმოო ფართობის 60-70 პროცენტი გამოიყენებულია როგორც საწყობი დაუმთავრებელი პროდუქციისათვის.

მექანიზაციის დაბალი დონის, არასტანდარტული მოწყობილობის უქონლობის და საწარმოო ფართობების არარაციონალურად გამოყენების გამო ჩვენი რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობაში ამჟამად ხელით მუშაობა საშუალოდ 40-დან 80 პროცენტამდე აღწევს. 1959 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით პროდუქციის რაოდენობა ერთი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობიდან წელიწადში სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში საშუალოდ 2.450 მანეთის შეადგენს, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის მოწინავე საავეჯო საწარმოებში 8-14 ათას მანეთს უღრმ.

იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობა უახლოეს პერიოდში საბჭოთა კავშირის მოწინავე საავეჯო საწარმოების რიგში ჩადგეს და ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულება, საჭიროა მოისპოს ავეჯის წარმოებაში არსებული მრავალფეროვნება და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საავეჯო საამქროები და საწარმოები გადაეცეს სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ჩვენი აზრით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოსთან უნდა შეიქმნას მძლავრი საპროექტო-ტექნოლოგიური ბიურო. ამ ბიუროს ჩამოყალიბება შესაძლებელია ამავე სამმართველოსთან არსებული ავეჯის საკონსტრუქტორო ბიუროსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ცენტრალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს ავეჯისა და ხე-ტყის დამამუშავებელი განყოფილების ბაზაზე.

საჭიროა აგრეთვე საპროექტო-ტექნოლოგიურ ბიუროსთან ჩამოყალიბდეს სათანადო სამძლავრის ცენტრალური მექანიკური და ავეჯის საექსპერიმენტო სახელოსნოები, რომლებიც მოემსახურებიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში შემავალ ავეჯისა და ხე-ტყის დამამუშავებელ საწარმოებს. ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოსთან საჭიროა ჩამოყალიბდეს სექტორი ახალი ტექნიკის დანერგვის დარგში.

ავეჯის მრეწველობაში უნდა მოისპოს გაფანტულებელი ერთ ცვლად მუშაობა. საჭიროა მუშაობის ბრიგადული მეთოდი შეიცვალოს თანამედროვე ნაკადური მეთოდით, ხოლო შრომის ანაზღაურება წარმოებდეს ცალკეული ოპერაციების მიხედვით.

უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს მაღალი წარმადობის თანამედროვე დაზგები, წნეხები, ნახევრადავტომატური და ავტომატური ხაზები, მოწინავე ტექნოლოგია, ნაკადური მეთოდით მუშაობა, მოხდეს წვრილი საამქროებისა და საწარმოების გაძსხვილება, რომ შესაძლებელი იყოს მათი სპეციალიზაცია და კოოპერირება.

ზემოთ დასახელებული ღონისძიებების განხორციელებით ჩვენს ავეჯის მრეწველობაში გამოვლინდება უდაოდ დიდი რეზერვები, რაც უზრუნველყოფს შედარებით მცირე კაპიტალური დაბანდებებით შვიდწლიანი გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას, მკვეთრად გაუმჯობესდება ავეჯის ხარისხი. ამ საკრებორატო საკითხების დროზე გადაწყვეტა მკვეთრად გაზრდის მოსახლეობისათვის ლამაზი, გამძლე, ფუნქციონალური სტილის ავეჯის მიწოდებას.

ა. მიზანდარი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მთავარი სპეციალისტი სტყეო მრეწველობის დარგში.

ჩვენი უცხოელი სტუმრები

საბჭოთა კავშირთან ურუგვაის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის წევრმა, მუშათა მოძრაობის უძველესმა მოღვაწემ, კომუნისტური პარტიის წევრმა 1912 წლიდან ანხელ პალბუენომ, რომელიც შეღის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული კულტურული დელეგაციის შემადგენლობაში, სურვილი განაცხადა სპეციალურად გაცნობოდა ამერიკა-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა ცხოვრებას.

ურუგვაელმა სტუმარმა საქართველოში სამი დღე დაჰყო. მან ინახულა თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, სოფლიის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობა, დაესწარო რთველს ბორსის მეკენტრეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

* * *

ქართველ არქიტექტორებთან სტუმრად იყო ავსტრიის დედაქალაქის ვენის მთავარი არქიტექტორი, პროფესორი რონალდ რაინერი. მას ინტერესებდა საქართველოს ძველი და თანამედროვე არქიტექტურა, რესპუბლიკაში ქალაქთმშენებლობის განვითარების საკითხები.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში სტუმარი შეხვდა თბილისელ არქიტექტორებს, მათს წინაშე წაიკითხა ლექცია თანამედროვე ავსტრიული არქიტექტურის ტენდენციების შესახებ.

— თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, — განაცხადა პროფესორმა რაინერმა. — მის სილამაზეს, რა თქმა უნდა, ქმნიან არა ცალკეული ნაგებობანი, არამედ მისი განუმეორებელი კოლორიტი — ესოდენ უხვი შეხამება ძველსა ახალთან, თავისებური არქიტექტურა, საუცხო რელიეფი და, რა თქმა უნდა, სიცოცხლით სავსე, სტუმართმოყვარე და მომხიბვლელი თბილისელები. (საქდესი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

«კვლავ ძველებურად... რატომ?!»

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი. ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის წყალტუბოს რაიონული კომიტეტი გვატყობინებს:

ფაქტები, რომლებიც აღნიშნული იყო გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 21 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „კვლავ ძველებურად... რატომ?!“ და ეხებოდა პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებს პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა და განიხილა საკითხი რაიკომის ბიუროზე. რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.



სურათზე: ბორჯომის წყლის ჩამომსხმელის ქარხნის მოწინავე ჩამომსხმელი ნათელა გოგოლაძე, რომელიც სიმწიფის ატესტატით მოვიდა ქარხანაში სამუშაოდ. მან მოკლე პერიოდში კარგი ავტორიტეტი დაიმსახურა. იგი ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ოკამის კარტოფილი გამოფენაზე

ოკამის მეხორცეობისა და მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში (ახალქალაქის რაიონი) წელს ბოსტნეულის მაღალ მოსავალს იღებენ. განსაკუთრებით სარეკორდოა კარტოფილის მოსავალი. წინასწარი ვარაუდით ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 200 ცენტნერამდე.

ამ მეურნეობიდან კარტოფილის ექსპონატები გაიგზავნა მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

როგორც გამოფენის საექსპერტო კომისიის წერილიდან ირკვევა, ოკამის საბჭოთა მეურნეობის კარტოფილმა ექსკურსანტთა ყურადღება მიიპყრო. ჯავახური კარტოფილი გამოირჩევა სიდიდით, გემოთი და მაღალი მოსავლიანობით.

დათვალიერების საექსპერტო კომისიამ გადაწყვიტა საქართველოს ამ მოწინავე მეურნეობას მიანიჭოს დიპლომი და მისი მოწინავეები — მებოსტნეები დაჯილდოებულ იქნან გამოფენის მედლებით. საექსპერტო კომისიის მასალები დასამტკიცებლად გადაეცა მთავარ საგამოფენო საბჭოს.

ბოსტნეულისა და კარტოფილის ექსპონატები ინახულა 400 ათასმა მოსკოველმა და ჩამოსულმა ექსკურსანტმა.

ნ. ალელიშვილი.

ანგარიშგება - არჩევნები პარტორგანიზაციებში

1. როცა მუშაობაში ფორმალიზმი მკვიდრდება

„მეტალურგბრიგადმონტაჟის“ სამმართველო ქ. რუსთავის ერთ-ერთი წამყვანი. სამონტაჟო ორგანიზაციაა. მართალია, აღნიშნული სამმართველოს კოლექტივს განაღდებული აქვს მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის სახელმწიფო დაგალება, მაგრამ გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებლების მიღმა მემონტაჟეთა მუშაობაში სერიოზული ხარვეზებიც იმალება. ისინი ხშირად ვერ ასრულებენ დაკისრებულ სამუშაოებს დაწესებული თანმიმდევრობისა და გრაფიკის დაცვით. ამასთან შესრულებული სამუშაოები ყოველთვის მაღალი ხარისხით როდი გამოირჩევა. აქ ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ იყენებენ დანაგებართა დამონტაჟების ახალ, პროგრესულ მეთოდებს, აუგელი აქვს სახელმწიფო ავტომანქანების პირადი მიზნით გამოყენების, ცალკეული მემონტაჟეებისათვის თანრიგის არასწორად მიკუთვნების, ტექნიკური უსაშიშრობის წესების დარღვევის და სხვა შემთხვევებს.

მოსალოდნელი იყო, რომ „მეტალურგბრიგადმონტაჟის“ პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. პოტაპენკო ბიუროს სანგარეში მოხსენებაში, რომლითაც იგი ამ დღეებში კომუნისტების წინაშე წარდგა, ღრმა ანალიზს გაუკეთებდა ამ ნაკლოვანებებს, მათს ვამომშვებ მიზეზებს. რაც, კერძოდ, მასებში არადამაკმაყოფილებელმა ცოცხალმა ორგანიზატორულმა და პარტიულ-პოლიტიკურმა მუშაობამ განაპირობა. მაგრამ ასე როდი მოხდა.

სამაგიეროდ კამათში გამოსულმა კომუნისტებმა: მომარაგების განყოფილების უფროსმა ა. ახალაძემ, მძღოლმა რ. ნიმსაძემ, ოსტატებმა ა. გრიშაევმა, ი. ნოზდრევატხმა, მ. გავრილოვმა, უბნის უფროსმა ი. ტვერდუნოვმა, ზენინკალმა მ. პოპოვიჩმა და სხვებმა ნაწილობრივ შეავსეს აღნიშნული ხარვეზი. მათ გამარტეს, რომ სამონტაჟო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია შეეგუა სამეურნეო და პარტიულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, იგი არასწორად ფიქრობდა, რომ სამეურნეო ხასიათის ხარვეზები მხოლოდ სამმართველოს ადმინისტრაციის საქმეა. მასებთან მუშაობის საკითხიც მარტო პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მიანდო. ამ უკანასკნელებმაც, სარგებლობდნენ რა პარტიული ორგანიზაციის უმოქმედობით, თვითდინებას მიანდეს მათთვის დაკისრებული საქმე.

სხვა რით უნდა აიხსნას, რომ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა აქ აშკარა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. არ ხდებოდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. განა სამარცხვინო არ არის ის ფაქტი, რომ „მეტალურგბრიგადმონტაჟში“, სადაც 47 კომკავშირელი და პროფკავშირის მრავალი ათეული წევრია, პროფკავშირული და კომკავშირული კრებები „ფანათად ეწყობოდა, ჩაშლილი იყო საგაზეთო მუშაობა, არ იკითხებოდა ლექციათ-მოხსენებანი. 47 კომკავშირელიდან პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩაბმულია მხოლოდ 11 კაცი.

კრებაზე პარტიული მუშაობის ნაკლად მიჩნეულ იქნა ისიც, რომ პარტიული დავალება ყველა კომუნისტს არ ეძლეოდა და, ვისაც ასეთს აძლევდნენ, არ ხდებოდა მათი შესრულების შემოწმება, პასუხს არ სთხოვდნენ იმ კომუნისტებს, რომლებიც დაუდევრად ეკიდებოდნენ პარტიულ დავალებათა შესრულების საქმეს.

— მე ვხელმძღვანელობდი, — თქვა კომუნისტმა დ. მოლოტკოვმა, — პარტიული ორგანიზაციის კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა მეთვალყურეობა გაეწია „დიდი ქიმიის“ ახალ ობიექტთა მშენებლობისთვის. ამ უბანზე კი ყველაფერი რიგზეა, ამიტომ კომისიას გასაკეთებელიც არაფერი ჰქონდა (?!).

გაოცებას იწვევს აღნიშნული პარტიული კონტროლის კომისიის უმოქმედობის ახსნა ამ „მიზეზით“, მაშინ როცა სინამდვილეში დასახელებულ ობიექტებზე მშენებლობა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს და სერიოზულ შეფერხებებს აქვს ადგილი. ასევე უმოქმედობდა ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენებისადმი პარტიული კონტროლის კომისია, რომლის ხელმძღვანელობა კოშუნისტ ი. ბელიკოვს ჰქონდა მინდობილი.

პარტიული ორგანიზაცია ადმინისტრაციასთან ერთად სუსტად ეწეოდა აღმზრდელობითს მუშაობას კადრებთან. ხელმძღვანელ თანამდებობებზე კადრების შერჩევა-დაწინაურება ხდებოდა არა მათი საქმიანი თვისებების, არამედ ნაცნობ-მეგობრობის პრინციპით. მაგალითად, „მეტალურგბრიკადმონტაჟის“ კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს ამხ. რ. სეპტი, რომელმაც კომკავშირული მუშაობა ჩაშალა და იმის ნაცვლად, რომ პირადი მაგალითით აღეფრთოვანებინა ახალგაზრდები, ხშირად თვითონ მთვრალი მოდიოდა სამუშაოზე.

კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და XIV საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები. არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

გ. ქართველიშვილი.

2. ანგარიშს აგარეგს პარტჯგუფ-ორგანიზატორი

მთელ ქარხანაში კარგად იციან, თუ მეკოპეებმა საკმაო და ხარისხოვანი კოპები არ დაამზადეს, ერთდროულად შეფერხდებიან მეყალიბეებიცა და ლითონწასხმელებიც, შეფერხდება ქართული ავტომობილისათვის ათობით დასახელების დეტალის სხმულის მიწოდება.

ითვალისწინებს რა ამას, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 2 სამსხმელო საამქროს საკოპე უბნის კოლექტივი თავგამოდებით შრომობს, თვიდან თვემდე ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს მის ხარისხს. უბანმა 109,5 პროცენტით გაანაღდა მიმდინარე წლის ცხრა თვის საწარმოო დავალება.

ამ წარმატებაში თვალნათლივ ჩანს როლი უბნის პარტიული ჯგუფისა, რომელიც 19 კომუნისტს აერთიანებს.

პარტიულმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, საავტაციო — მასობრივი მუშაობის გაძლიერებისათვის.

ივნისში მთელი უბნის კოლექტივის წინაშე დადგა მეტად სერიოზული ამოცანა — გადაჭრით გაუუმჯობესებინათ ცილინდრების ბლოკების კოპების ხარისხი. ამ ოპერაციაზე მოწყობილობის უწესივრობით ხშირად ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესები, ოსტატები და უბნის მექანიკოსი რატომღაც შეეგუენ იმას, რომ შემცირებულ ნაცვლად ოცატა წუნდებული კოპების გამოშვებამ.

ამ საკითხზე დაუყოვნებლივ იმსჯელა პარტიული ჯგუფის კრებამ, რომელსაც საამქროს ხელმძღვანელები, უბნის ოსტატები და მექანიკოსებიც დაესწრნენ. გადაწყვეტეს მოკლე ვადაში ჩაეტარებინათ სკოპე მანქანების რემონტი, მტკიცე კონტროლი დაეწესებინათ საკოპე მიწის შემკვრელი მასალების სათანადო დოზებით გამოყენებაზე. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა მალე გამოსწორდა, ბლოკების კოპების ხარისხი გაუმჯობესდა.

კომუნისტმა ბ. თევდორაძემ მეტად საგულისხმო წინადადება წამოაყენა — კოპების სამაგრი კარკასები, რასაც ერთხელ გამოყენების შემდეგ ჯართად ჰყრიდნენ, ხელმეორედ და რამდენჯერმე გამოეყენებინათ, მით უფრო, რომ ერთხელ გამომწვარი კარკასი მეორედ ასეთსავე ოპერაციას არ მოითხოვდა. მეკოპის საგულისხმო წინადადებას უყურადღება მიაქ

საერთაშორისო მიმოხილვა

„დასავლეთი თავს იცავს“

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი ფრედერიკ კუ წერს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის დელეგატთა უმრავლესობის აზრით, ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა პოლიტიკური წარმატებებით.

შეერთებული შტატების დელეგაცია, აღნიშნავს კუ, არ იზიარებს ამ თვალსაზრისს, მაგრამ სხვა დელეგატებს, განსაკუთრებით ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებს, მიაჩნიათ, რომ ხრუშჩოვმა არსებით შედეგებს მიაღწია სხვადასხვა დარგში.

ეხება რა ხრუშჩოვის წინადადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის წესის შეცვლის შესახებ, ფრედერიკ კუს მოჰყავს ერთი დელეგატის სიტყვები:

„ხრუშჩოვი ბევრს დაეხმარა შეეგნო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აგებულია ძალთა იმ საერთაშორისო თანაფარდობაზე, როგორიც არსებობდა 15 წლის წინათ; მაგრამ ახლა 1960 წელია“.

ფრედერიკ კუ აცხადებს: „სხვა სიტყვებით, ხრუშჩოვმა ბევრნი დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირს საფუძველი აქვს მოითხოვოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატის ხელმძღვანელობაში მას მიეკუთვნოს როლი, რომელიც უფრო შეესაბამება მის უდიდეს ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებას“. მან დაარწმუნა ზოგიერთი ნეიტრალი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო მეტისმეტად პოლიტიზებულია და მომზადებულია ერთ ადგილზე, უმთავრესად, დედამიწის ერთი ნაწილის ინტერესებს, „ამასთან, იმ ნაწილისა, რომელიც სულ უფრო მცირდება“.

თვით ხრუშჩოვის მონაწილეობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში, წერს ფრედერიკ კუ, მაგნიტსავით იმოქმედა და სესიაზე მოიზიდა მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები, თუმცა შეერთებულმა შტატებმა სცადეს ხელი შეეშალათ ამისათვის.

ფრედერიკ კუ ეხება კოლონიალიზმის საკითხს და წერს, რომ „ხრუშჩოვის მოხსენებამ დაუყოვნებლივ მიეცეთ დამოუკიდებლობა მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებულ კოლონიებს, შთაბეჭდილება მოახდინა იმ სახელმწიფოთა ბევრ წარმომადგენელზე, რომლებმაც მხოლოდ ახლა შეიხსნეს ფრთები“.

„ხრუშჩოვი, როგორც ფიქრობენ, მხარდაჭერას შეხვდა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არავითარ ბლოკებთან არ არიან დაკავშირებული, და აფრიკის 16 სახელმწიფოს შორის“, — წერს ფრედერიკ კუ.

კუ აცხადებს, რომ ნეიტრალისტურ ლიდერებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ხრუშჩოვის ყოფნის დროს ინიციატივა მის ხელთ იყო და რომ „მან აიძულა დასავლეთის მოკავშირეები თავდაცვაში ყოფილიყვნენ“.

ფრანგი კომუნისტები მოითხოვენ...

პარიზი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის ნამდგილი სიდიადე დაკავშირებულია არა ატომური შეიარაღების პოლიტიკასთან, არამედ იმასთან, რომ საფრანგეთმა ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და განიარაღებას, ხაზგასმულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აქ გამოქვეყნებულ რეზოლუციაში „ატომური დამკვრელი ძალის“ შექმნისა და განიარაღების საკითხზე.

„გენერალ დე გოლის საგარეო პოლიტიკა, — ნათქვამია რეზოლუციაში“, ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს ჩვენს ხალხში. გამალებული ატომური შეიარაღება იწვევს ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ დაქვეითებას, ეწინააღმდეგება დაძაბულობის შენელებას და აძლიერებს ომის საფრთხეს; ნაცისტი რევანშისტების ხელახლა შეიარაღება საფრთხეს უქმნის საფრანგეთის უშიშროებას; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უგულვებელყოფა იზოლირებულს ხდის ჩვენს ქვეყანას“.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მშვიდობისმოყვარე ძალებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი და ხაზს უსვამს, რომ კომუნისტები უფრო მტკიცედ იბრძოლებენ მშრომელების, წინააღმდეგობის მოძრაობის სულისკვეთების ერთგული ყველა პატრიოტის, ყველა იმ ფრანგის მოქმედების ერთიანობისთვის, რომლებიც იბრძვიან ატომური ომის კოშმარის წინააღმდეგ, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

ტელეგრაფი გვატყობინებს

პრასადმა გასინჯა საბჭოთა კინოფილმი

დელი, 16 ოქტომბერი. (საკდეს.). დღეს ინდოეთის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა პრეზიდენტის სახლეულში მოაწყო გასინჯვა ფერადი დოკუმენტური კინოფილმისა „მე ვნახე ინდოეთისადმი სიყვარული“, რომელიც ეძღვნება ინდოეთის პრეზიდენტის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში. ფილმი რაჯენდრა პრასადს გადაეცა როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის საჩუქარი.

კინოსეანსთან გასინჯვას დაესწრნენ პრეზიდენტის სამდივნოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, პრეზიდენტის ნათესავები და ახლო მეგობრები, ავრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი.

კინოფილმის გასინჯვის შემდეგ რაჯენდრა პრასადმა სთხოვა სსრ კავშირის ელჩს ინდოეთში დიდი მადლობა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას ამ საჩუქრისათვის. ინდოეთის პრეზიდენტმა აღნიშნა ფილმის შემქმნელთა ჩინებული მუშაობა და ხაზი გაუსვა, რომ ამ კინოფილმმა მას კვლავ მოაგონა ინდოელი ხალხისადმი ის გულითადობა და სიყვარული, რომელსაც იჩენდნენ საბჭოთა ადამიანები საბჭოთა კავშირში პრეზიდენტის ყოფნის დროს. რაჯენდრა პრასადმა სთხოვა მადლობა გადასცენ ამ შესანიშნავი ფილმის რეჟისორს, კინოოპერატორებსა და ყველა შემქმნელს.

გრიგალი აღმოსავლეთ პაკისტანში

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კარაჩიდან გადმოგვცემს, გუშინ აღმოსავლეთ პაკისტანში ბენგალიის ყურის სანაპიროზე გადაიარა უდიდესი გამანადგურებელი ძალის გრიგალმა, როგორც ფიქრობენ, მსხვერპლთა რიცხვი სამი ათას კაცს აღწევს. გრიგალმა უდიდესი მატერიალური ზარალი გამოიწვია. ღია ზღვაში დაიღუპა ათობით პატარა გემი, რომლებსაც გრიგალმა მოუსწრო. უბედურების რაიონებში წარმოუს მაშველი სამუშაოები.

ამერიკის ჯაჭვი ტურისტის სახით

ამას წინათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაიკავეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე მარკ ი. კამინსკი, რომელიც თავის თანამემამულე ჰარვეი კ. ბენეტთან ერთად ტურისტულ მოგზაურობას ახორციელებდა ავტომანქანით ვიბორგ — ლენინგრად — მოსკოვ — მინსკ — მოსკოვ — ხარკოვ—კიევ — ლვოვ — ტბილისი მარშრუტით.

როგორც შემდგომ გამოირკვა, მოგზაურობის დროს კამინსკი მოსკოვ-მინსკის უბანზე, უკრაინის დასავლეთ ოლქების რაიონებსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში აგროვებდა სადაზვერვო ცნობებს, აწარმოებდა თავდაცვითი მნიშვნელობის ობიექტების ფოტოგადაღებას, დაწვრილებით ჩანაწერებში ახასიათებდა ასეთ ობიექტებს და აღნიშნავდა მათ ადგილმდებარეობას ტუკაზე.

საბჭოთა კავშირიდან გასვლისას კამინსკიმ და ბენეტმა ქალაქ უჟგოროდის რაიონში განზრახ გადაუხვიეს მოგზაურობის მარშრუტს და აღმოჩნდნენ მნიშვნელოვან მანძილზე აკრძალულ საზღვრისპირა ზონაში, სადაც დაკავებულ იქნენ. ამ დროს კამინსკის უნახეს ფოტოფირები, ჩანაწერთა ბლოკნოტები და სხვა საგნები, რომლებიც ამხილებდნენ მას იმაში, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე აგროვებდა სადაზვერვო ცნობებს.

ჯამუშტური საქმიანობის შესახებ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ მიღებული უცილობელი მასალების საფუძველზე კამინსკი გადაეცა სასამართლოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად.

გამოძიებისას და სასამართლოს სხდომაზე კამინსკიმ დამნაშავეად ცნო თავი აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენაში და აჩვენა, რომ, აგროვებდა რა ცნობებს თავდაცვითი ობიექტების შესახებ, იგი არღვევდა საბჭოთა კანონებს და ამიტომ შემფერებელ ადგილებში — ელექტროგადამცემ ელექტროსადგურებსა — ადგენდა ფოტოფირი, რომელზეც გადაღებულია თავდაცვითი ობიექტები.

სასამართლოში მოწმედ გამოვიდა ბენეტი, რომელმაც განაცხადა, რომ „მოქმედება კამინსკისა, რომელიც აწარმოებდა სამხედრო ობიექტების ფოტოგადაღებას, შეუთავსებელია ტურიზმთან“ და რომ იგი გმობს ამ მოქმედებას.

სამხედრო ტრიბუნალმა კამინსკის მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შემდგომ კამინსკიმ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა შუამდგომლობით შეწყალების შესახებ, რომელშიც საკუთრებით აღიარა თავი დანაშაულად და სთხოვა დაუჯერონ, რომ დიდად ნანობს ჩადენილ დანაშაულს, და პირობა დადო, რომ აღარასოდეს არ დაუკავშირებს თავის ბედს საბჭოთა კავშირისადმი მტრულ მოქმედებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გათვალისწინა, რომ კამინსკიმ გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეუცვალოს კამინსკის სასჯელის მოხდა საბჭოთა კავშირიდან იძულებით გაძევებით.

კამინსკისთან ერთად გაძევებულ იქნა ბენეტიც.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის დაზვერვა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა ტურისტულ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში ცდლავ იყენებს ჯაშუშობის მიზნით, პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში და მოითხოვა, რომ მიიღოს დაუყოვნებლივი ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს დაზვერვის მიზნით ტურიზმის გამოყენება.

ამერიკელ ჯაშუშთა ბანდა

ბონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ბონის ინფორმაციის ბიუროს ცნობით, ბონის ოლქ ბერგ-ბეგენ-ბაქენ-ბერგ-ბეგენ-ბაქენ-ბერგ-ბეგენ-ბაქენ-

ოცნებიდან სინამდვილისაკენ

ანრი სენ-სიმონის დაბადების 200 წლისთავისათვის

1960 წლის 17 ოქტომბერს შესრულდა XIX საუკუნის დიდი ფრანგი სოციალისტ-უტოპისტის ანრი სენ-სიმონის დაბადების 200 წლისთავი (1760-1825).

სენ-სიმონი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში შევიდა როგორც გამოჩენილი მოაზროვნე, რომელმაც დასაბამი მისცა, თუმცა უტოპიური ფორმით, სოციალიზმის ბევრ გვიანდელ იდეას. სენ-სიმონის, აგრეთვე სხვა დიდი სოციალისტ-უტოპისტების — შარლ ფურიეს (1772-1837) და რობერტ ოუენის (1771-1858) სოციალისტური შეხედულებანი მარქსიზმის ერთ-ერთი თეორიული წყარო იყო.

უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული სოციალიზმის გაგებისათვის.

ენგელსის გამოთქმით, სენ-სიმონი თავისი დროის ყველაზე უნივერსალური გონების ადამიანი იყო. იგი კრიტიკის ქარცეცხლში აბრუებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მის წარმოების ანარქიასა და გათიშულობას, მესაკუთრულ ეგოიზმსა და ყალბ მორალს. თანამედროვე საზოგადოება, წერდა სენ-სიმონი, „ჭეშმარიტად წარმოდგენს თავდაყირა დაყენებული მსოფლიოს სურათს... ნაკლებად უზრუნველყოფილნი ყოველდღე იკლებენ მათთვის აუცილებელი სახსრების ნაწილს იმისათვის, რომ გაადიდონ მსხვილ მესაკუთრეთა ნამეტი... უდიდესი დამნაშავენი, საყოველთაო ქურდები, რომლებიც მოქალაქეთა ერთობლობას ყოველწლიურად სამას თუ ოთხას მილიონს წაგლეჯენ ხოლმე და მათ ქანცს აცლიან, უფლებამოსილი არიან დასაჯონ ზვარლმანი დანაშაულობანი საზოგადოების წინააღმდეგ...“

კაპიტალიზმის დახასიათება, რომელიც სენ-სიმონმა საუკუნენახევრის წინ მოგვცა, სწორია დღესაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე „საყოველთაო ქურდები“ — კაპიტალისტური მონოპოლიების მესვეურები — თავიანთ მოგებას ზომავენ არა მილიონებით, არამედ მილიარდებით. სენ-სიმონს ბურჟუაზიული წყობილება წარმავალ წყობილებად მიაჩნდა და ცდილობდა დაესაბუთებინა საზოგადოების ახალ, გონივრულ საწყისებზე გარდაქმნის ისტორიული აუცილებლობა.

სენ-სიმონს დიდად აინტერესებდა „უქონელთა“ ბედი. უკვე თავის პირველ ნაწარმოებში „ჟენევის მცხოვრების წერილები თანამედროვისადმი“ (1802) იგი აყენებს დებულებას, რომ ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი იყოს სამუშაოთი. უკანასკნელ თხზულებაში „ახალი ქრისტიანობა“ (1825) სენ-სიმონი ლაპარაკობს კაპიტალისტურ საზოგადოების „ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის“ მძიმე მდგომარეობაზე, მხედველობაში მყავს რა მუშები, და პირდაპირი ამოცანის სახით აყენებს მათი არსებობის რაც შეიძლება მალე გაუმჯობესებას.

ისტორიული პროგრამის თავის თებრივ პროგრესზე შეხედულებებში სერიოზული ნაბიჯი გადადგეს წინ რუსმა რევოლუციურმა დემოკრატებმა ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და სხვებმა. მათ მიიჩნდათ, რომ სოციალიზმთან მისვლა არ შეიძლება მხოლოდ პრომაგანდის გზით, რომ საჭირო იქნება სახალხო რევოლუცია, რომელიც უნდა განახორციელოს გლეხობამ რევოლუციური ინტელიგენციის ხელმძღვანელობით. ესეც მხოლოდ „ქეთილი ოცნება“ იყო (ლენინი).

XIX საუკუნის შუახანებში მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი მომავლის შესახებ უტოპიური ოცნებიდან მეცნიერულ თეორიად გადაქციეს. იმ პირობებში, როცა კაპიტალიზმმა უკვე საკმაოდ გააშიშლა თავისი ძირეული წინააღმდეგობანი და პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივი ბრძოლა სავსებით ხელშესახებად გამოჩნდა, მარქსმა და ენგელსმა ისტორიის მათ მიერ აღმოჩენილ მატერიალისტურ გაგებაზე დაყრდნობით მუშათა კლასი შეაიარაღეს საზოგადებრივი განვითარების ნამდვილი კანონების ცოდნით და კომუნისტური საზოგადოებისათვის ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივით. მათ გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვა და კომუნიზმის გამარჯვება მოხდება უწინარეს ყოვლისა საზოგადოების ეკონომიური კანონების მოქმედების საფუძველზე.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერების ახალი მონაცემებისა და იმპერიალიზმის ეპოქაში საზოგადოების განვითარების ღრმად შესწავლის საფუძველზე ყოველმხრივ განავითარა მარქსისტული თეორია, გაამდიდრა იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ცოცხალი განხორციელება იყო.

* * *

დიდი უტოპისტები ბევრ რამეში სცდებოდნენ, ბევრი რამ, განსაკუთრებით მათი თანამედროვე სინამდვილის კონკრეტული საკითხების გადაჭრის დროს, არასწორად ჰქონდათ წარმოდგენილი. „მაგრამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უტოპიური სოციალიზმი მართალი იყო მსოფლიო-ისტორიული აზრით, ვინაიდან იგი იმ კლასის სიმპატომი, გამომხატველი, წინასწარ მაუწყებელი იყო, რომელიც, კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი, ახლა XX საუკუნის დამდეგისათვის გადაიქცა მასობრივ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს ბოლო მოუღოს კაპიტალიზმს და რომელიც შეუაჯანლად მიდის აქეთკენ“ (თხზ., ტ. 18, გვ. 430).

სოციალისტ-უტოპისტთა მძიდვრებებში აისახა ხალხთა ფართო მასების მისწრაფება სოციალური თანასწორობის, შშვიდობისა და ბედნიერებისაკენ დედამიწაზე. ასეთი ძიძიდვრებანი კი მუდამ პოულობდნენ და იპოვნიან მხურვალე გამოხმაურებას მშრომელთა გულში.

ჩემპიონი ჩოგბურთში

თბილისის კორტებზე ექვს დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. როგორც ვიუწყებოდით, ქვეჯგუფებში გამარჯვება და დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სასპორტო საზოგადოება „დინამოსა“ და „სპარტაკის“ გუნდებმა.

ჩოგბურთელთა ამ კოლექტივების ფინალურ ასპარეზობას, რომელიც გასულ კვირადღეს გაიმართა, უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონობის საკითხი. დინამოელმა ჩოგბურთელებმა, რომლებსაც ბრძოლის დიდი გამოცდილება და კარგი ტრადიცია აქვთ, შეჯიბრება ამჯერადაც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 21 : 5.

ასეთ პასუხსაგებ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა ჩოგბურთელებმა კარგი შედეგი მოიპოვეს. მაგალითად, დინამოელთა შორის საქართველოდან დაუმარცხებლად გავიდნენ ფინალში ნ. მძინარიშვილი, რ. ამბანდაძე, ა. მეტრეველი.

მძაფრი იყო ფინალური შეჯიბრება ვაჟთა წყვილებს შორის, სადაც დინამოელების მ. მოზერისა და რ. სივოხინის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის ვეტერანი ჩოგბურთელები ს. ანდრეევი და ნ. ოზეროვი. ეს შეუპოვარი მატჩი, რომელიც გაოდამავალი უპირატესობით ხასიათდებოდა, დამთავრდა მ. მოზერისა და რ. სივოხინის გამარჯვებით ანგარიშით 9 : 7.

ქალთა შორის ბრძოლის მაღალი ტექნიკა, კარგი ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ვ. კუზმენკომ („დინამო“). მან დაამარცხა სპარტაკელი ვ. ტროშინა, ვაჟთა შორის მ. მოზერმა („დინამო“) მოუგო ს. ანდრეევს („სპარტაკი“).

საკავშირო პირველობის ალმი დაუშვეს. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ჩოგბურთში გახდა „დინამოს“ ძლიერი კოლექტივი, მეორე ადგილზე გამოვიდა „სპარტაკის“ გუნდი, მესამეზე — „ტრუდის“ გუნდი.

გამარჯვებულ გუნდს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი.

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში — „დინამოს“ გუნდი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს წყალბურთელთა წარმატება

ბათუმის „სპარტაკის“ საცურავ აუზში დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება წყალბურთში.

თბილისელებმა 12 შესაძლებლიდან 12 ქულა შეაგროვეს და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. 10 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ლვოვის „დინამო“. მესამე ადგილი დაიკავა ტალინის „დინამოს“ გუნდმა (8 ქულა).

პრიზები—საუკეთესოებს

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების ცხრა უძლიერესი მოჭადრაკეთა გუნდის ტრადიციული ჩემპიონატი. თითოეულ გუნდში 10 მონაწილე იყო: ექვსი ვაჟი, ორი ქალი, ჰაბუკები და ქალიშვილები.

1959 წელს სსრ კავშირის ჩემპიონთა საპატიო ჯილდოები მოიპოვეს მოსკოველმა მოჭადრაკეებმა. მაგრამ მიმდინარე წელს დედაქალაქის გუნდი იძულებული გახდა პირველი ადგილი დაეთმო ლენინგრადელი გროსმაისტერებისა და ოსტატებისათვის, რომლებიც ჩემპიონატში სსრ კავშირის ჩემპიონის ვ. კორჩნოის მეთაურობით მონაწილეობდნენ. ლენინგრადის გუნდის შედეგია 52,5 ქულა 80 შესაძლებელში.

ლენინგრადელ მოჭადრაკეებს გადაეცათ ოქროს მედლები, დიდი ვერცხლის თასი და სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს I ხარისხის დიპლომი.

პრიზებით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ჩემპიონატის მონაწილეები, რომლებმაც თავიანთ დაფებზე საუკეთესო შედეგები მოიპოვეს. მსაჯთა კოლეგიამ აღნიშნა: პირველ დაფაზე — გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), მეორეზე — უკრაინის ჩემპიონი ლ. შტეინი (ლვოვი), მესამეზე — გროსმაისტერი ბ. სპასკი (ლენინგრადი), მეოთხეზე — გროსმაისტერი ა. კოტოვი (მოსკოვი), მეხუთეზე — საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი (მოსკოვი), მეექვსეზე — ოსტატი ლ. შამკოვიჩი (მოსკოველი ოლქი), მეშვიდეზე — ოსტატი გ. ხოდოსი (დონის როსტოვი).

ქალთა შეჯიბრებაში (დაფების თანამიმდევრობით) თავი გამოიჩინეს: სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. ვოლპერტმა (ლენინგრადი), ოსტატმა ფ. დმიტრიევამ (ლენინგრადი), ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა (საქართველო). ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ დაამყარა ჩემპიონატის რეკორდი: მან რვა შესაძლებელში 7,5 ქულა შეაგროვა.

XIV საჭადრაკო ოლიმპიადა

ლაიპციგი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ საზეიმოდ გაიხსნა XIV საჭადრაკო ოლიმპიადა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ 41 ქვეყნის მოჭადრაკეები — მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის მთელი ისტორიის მანძილზე გუნდების რეკორდული რაოდენობა. ეროვნულმა საჭადრაკო ფედერაციებმა ლაიპციგს გაგზავნეს თავიანთი საუკეთესო მოჭადრაკეები. აქ ერთმანეთს შეხვდება მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინის ოთხივე მფლობელი — მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, ვასილ სმისლოვი და მაქს ეიუე.

ლაიპციგის „შაუშპილ ჰაუზის“ თეატრში, სადაც გაიმართა ოლიმპიადის გახსნის საზეიმო აქტი, ოლიმპიადის მონაწილეებს მიესალმა გერმანიის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი არნო ბეხერი. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ იოჰანეს დიკმანმა, რომელიც ოლიმპიადის საპატიო პრეზიდენტია.

დიკმანმა მე-14 საჭადრაკო ოლიმპიადა გახსნილად გამოაცხადა.

შემდეგ დამსწრეთ მიესალმა ფიდეს (მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფედერაციის) პრეზიდენტი ფოლკე როგარდი (შვეიცია). მან ფიდეს ვიცე-პრეზიდენტს ვიაჩესლავ რაგოზინს (სსრ კავშირი) გადასცა მსოფლიოს ჩემპიონის დიპლომი, რომელიც მოპოვებული აქვს საბჭოთა გროსმაისტერ მიხეილ ტალს. როგარდმა აგრეთვე გადასცა მიხეილ ბოტვინიკს შვეიცის საჭადრაკო კავშირის ოქროს მედალი „მოჭადრაკეთა შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობისათვის“.

ცერემონიის დასასრულს მოჭადრაკეებმა ბერგასერმა (საფრანგეთი), გოლომბეკმა (ინგლისი), ვოლფანგ ულმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მიხეილ ბოტვინიკმა (სსრ კავშირი) და პერე